



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 90

2019 წლის 6 აგვისტო

ქ. თბილისი

**2019 წლის სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის
იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ**

„სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის N226/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N1015376, 05.08.2019) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2019 წლის სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი საგრანტო კონკურსი;
2. დამტკიცდეს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა (შემდგომში ფონდი) და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი საგრანტო კონკურსის პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს განაცხადის ფორმა ქართულ და ინგლისურ ენაზე ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს ბიოგრაფიული მონაცემების (CV)-ს ფორმა ქართულ და ინგლისურ ენაზე ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს ბიუჯეტის ფორმა მაგისტრანტებისთვის ქართულ და ინგლისურ ენაზე ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს ბიუჯეტის ფორმა ქართულ და ინგლისურ ენაზე დოქტორანტებისთვის ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;
7. დამტკიცდეს პროექტით გათვალისწინებული შედეგების ფორმა დოქტორანტებისთვის ქართულ და ინგლისურ ენაზე ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;

8. დამტკიცდეს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივ საგრანტო კოკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;
9. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ამ ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
10. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე განთავსებისთანავე;
11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

ზვიად გაბისონია

